Tinatin Zoidze 61009006289
Digitally signed by Tinatin Zoidze
Date: 2021.07.16 14:33:31

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N80

ქ. ბათუმი 16 ივლისი 2021 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის თინათინ ზოიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „Innova“,** წარმოდგენილი დირექტორის მაია შიშნიაშვილის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად (სატენდერო განცხადება **NAT210011101** კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 79310000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა, რომელიც მოიცავს საქართველოს 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის (რომელიც წარმოადგენს ან ტურისტს ან ექსკურსანტს) აჭარაში ვიზიტის აღწერას შემსყიდველის მიერ წარდგენილი (მიწოდებული) ადგილობრივი ტურიზმის კვლევის კითხვარებში გათვალისწინებული საკვლევი ინდიკატორების შესაბამისად, შემსყიდველის მიერ მიწოდებული კითხვარების მიხედვით.

1.2. შესყიდვის ობიექტის ოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1-ში), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. მომსახურების ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ შემუშავებული კვლევის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და დეტალურად განსაზღვრავს კონკრეტული კვლევის თითოეულ ეტაპს.

ადგილობრივი ტურიზმის კვლევა წარმოადგენს შემდგომს, კერძოდ: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემთა ბაზის გარდა, კვლევის ჩატარება მიმდინარე ხელშეკრულების ფარგლბში, შემდგომ ორივე ბაზის გაერთიანება და მათი ერთობლივად გაანალიზება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მონაცემების მისაღებად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ანკეტების მიწოდება და წარმოება მიმდინარე კვლევის ფარგლებში, ბაზების გაერთიანება და მათი შემდგომი ანალიზი.

თითოეული საკვლევი ეტაპის საქსტატის ბაზების მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

ზემოთ აღწერილი ინფორმაციის მოსაპოვებლად უნდა ჩატარდეს რაოდენობრივი კვლევა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით.

მიმწოდებელს მიეწოდება ასევე, მიმდინარე კვლევისთვის შემუშავებული სხვადასხვა ტიპის დოკუმენტი, რომლებიც მოიცავს: კვლევის ანგარიშის საველე მასალებს, ისტრუმენტს და ინსტრუქციებს, საგნობრივი შედეგის ანგარიშის (Output) რეკომენდებულ სტრუქტურას; კვლევის მონაცემთა ბაზის სტრუქტურას, კვლევის განმახორციელებელი მონიტორინგის მექანიზმით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებს და ა.შ.

1.4. შერჩევის ზომა: მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს შერჩევის აგება კვლევის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს თანახმად შემსყიდველთან შეთანხმებით. შერჩევის ჩარყოს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები. ამასთან, კვლევის ყოველივე ტალღისათვის შერჩევის ზომა განისაზღვრება არანაკლებ 400 - 650 დასრულებული ინტერვიუთი (ძირითადი კითხვარის მიხედვით). გამოსაკითხი რესპოდენტების რაოდენობის განაწილება რეგიონებსა და დასახლებულ პუნქტებში მოხდება კვლევის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს გათვალისწინებით (თანახმად).

1.5. კვლევა ჩატარდება პირისპირ ინტერვიუს მეთოდით ქართულ ენაზე. კითხვარები შემსრულებელს მიეწოდება ქართულ ენაზე. გარდა ამისა, აჭარის ა.რ-ის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი საჭიროების შემთხვევაში იტოვებს უფლებას მოახდინოს თავდაპირველი კითხვარის კორექტირება კითხვების ჩანაცვლების, რაოდენობის გაზრდის ან შემცირების გზით.

1.6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **17400** ლარს.

1.7. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2. მომსახურების ხარისხი და სტანდარტები

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.
2.2. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
2.3. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, მას უფლება აქვს უარი განაცხადოს უხარისხო მიწოდებული მომსახურების მიღებაზე.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
3.3 კონტროლი განხორციელდება მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შესაბამისად. კვლევის საწყის ეტაპზე შემსყიდველთან შეთანხმებით გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარადგინოს სამუშაო განრიგი. მათ შორის, შემსრულებელმა კვლევის ყოველი ეტაპის საგნობრივი შედეგი უნდა წარადგინოს შემსყიდველის მიერ საქსტატის შესაბამისი ბაზების მიწოდების შემდგომ 4 (ოთხი) კვირის ვადაში.

3.4 შემსყიდველს უფლება აქვს კვლევის ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერი ფორმით შემსრულებლისგან მოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია/მონაცემი კვლევასთან დაკავშირებით.

3.5. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტატისტიკის და ანალიტიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა დოლიძე.

4. მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი

მომსახურება მოიცავს თითოეულ კვლევის ეტაპს და შესაბამის საგნობრივ შედეგს (მონაცემთა ანალიზს).

2021 წლის 15 ივლისის წერილი N 5-1503 თანახმად, საქსტატი უზრუნველყოფს შემსყიდველზე ზემოაღნიშნული ბაზების ყოველკვარტალურად მიწოდებას გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში. შესაბამისად პუნქტი 1.3 და 3.3 გათვალისწინებით, მომსახურების მოწოდების სავარაუდო ვადა განისაზღვრა შემდეგნაირად:

4.1. მომსახურების პირველი ეტაპის მოწოდების სავარაუდო ვადა განისაზღვროს 2022 წლის 18 იანვრით.
4.2. მომსახურების მეორე ეტაპის მოწოდების სავარაუდო ვადა განისაზღვროს 2022 წლის 18 აპრილით.
4.3. მომსახურების მიწოდების ადგილი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86; აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

თითოეული ეტაპის მომსახურების მოწოდების ვადები დაკორექტირდება შემსრულებელზე საქსტატის შესაბამისი ბაზის გადაცემისთანავე პუნქტი 3.3 გათვალისწინებით.

5. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება–ჩაბარება განხორციელდება 2 (ორი) ეტაპად, კვლევის ეტაპების დასრულების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირებია:
ა) თინათინ ზოიძე - დეპარტამენტის თავმჯდომარე;
ბ) ნანა დოლიძე - სტატისტიკის და ანალიტიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

6. ანგარიშსწორება

6.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
6.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება 2 ეტაპად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ან/და გაწეული მომსახურების შესაბამისად დოკუმენტების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
7.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
7.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ქვეკონტრაქტორი

8.1. ქვეკონტრაქტორის არ დაიშვება.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
9.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ეტაპების ვადებს მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.3 კვლევის მსვლელობისას, წარმოშობილი დაბრკოლების შედეგად, რაც გულისხმობს კვლევის პერიოდის ყოველი თვის განმავლობაში შესრულებულ საველე სამუშაოების არასრულყოფილად შესრულებას (თითოეულ თვეში 80 ინტერვიუზე ნაკლების არსებობა, ხოლო კვლევის ყოველივე ეტაპისთვის ჯამში არანაკლებ 400 ინტერვიუ), შემსყიდველი ორგანიზაცია, იმის გათვალისწინებით რომ საბოლოო საგნობრივ შედეგს ვერ მიიღებს, ვერ უზრუნველყოფს კვლევის ეტაპის ანაზღაურებას.

10. ფორს მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. სხვა პირობები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	***შპს „Innova“***
საიდენტიფიკაციო კოდი - 245427809	*საიდენტიფიკაციო კოდი - 205272907*
ტელ: (+995) (422) 27 50 23	*ტელ: +995 0322 222545*
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #84/86	*მისამართი: ქ.თბილისი, ატენის ქ. 20*
	საბანკო რეკვიზიტები:
	ს.ს. ბაზისბანკი
	ბანკის კოდი - CBASGE22
თავმჯდომარე	*ა/ნ - GE46BS0000000053336725*
	დირექტორი
_____ */თინათინ ზოიძე/ ბ. ა.*	_____*/მაია შიშნიაშვილი/ ბ. ა.*

Maia Shishniashvili
Digitally signed by Maia Shishniashvili
Date: 2021.07.16 15:02:51

2021 წლის 16 ივლისის
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N80

დანართი №1

შესყიდვის ობიექტის დასახელება	მომსახურების აღწერა	კვლევის I ეტაპის ფასი (ლარი)	კვლევის II ეტაპის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა	**საკვლევი ობიექტი:** საქართველოს 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, რომელიც წარმოადგენს ან ტურისტს ან ექსკურსანტს და რომლებმაც განახორციელეს თავიანთი ვიზიტი აჭარაში. **კვლევის არეალი:** შინამეურნეობების კვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით (საქართველოს რეგიონებში და დასახლებულ პუნქტებში) **კვლევის პერიოდულობა:** ყოველთვიური **მონაცემთა ანალიზი:** კვარტალური **კვლევის სპეციფიკა:** გამოკითხვის პროცესში ყოველი თვის მონაცემთა შეგროვება ხდება მომდევნო თვეში. **საკვლევი პერიოდი** განისაზღვრება 6 თვით (ივლისი – დეკემბერი 2021 წ.) და იყოფა შემდეგ ეტაპებად: კვლევის პირველი ეტაპი: - საკვლევი პერიოდი: ივლისი 2021 წ. - სექტემბერი 2021 წ. (3 თვე) - კვლევის პერიოდი (მონაცემთა შეგროვება/გამოკითხვა): აგვისტო 2021 წ. - ოქტომბერი 2021 წ. (3 თვე) კვლევის მეორე ეტაპი: - საკვლევი პერიოდი: ოქტომბერი 2021 წ. - დეკემბერი 2021 წ. (3 თვე) - კვლევის პერიოდი (მონაცემთა შეგროვება/გამოკითხვა): ნოემბერი 2021 წ. - იანვარი 2022	8700	8700	17400

	წ. (3 თვე) **შერჩევის ზომა**: მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს შერჩევის აგება კვლევის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს თანახმად შემსყიდველთან შეთანხმებით. შერჩევის ჩარყოს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები. ამასთან, კვლევის ყოველივე ტალღისათვის შერჩევის ზომა განისაზღვრება არანაკლებ 400 - 650 დასრულებული ინტერვიუთი (ძირითადი კითხვარის მიხედვით). კვლევის შემდგომი / მომდევნო ტალღებისათვის მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული შერჩევით. **მონაცემთა დამუშავება და პროგრამული უზრუნველყოფა:** მონაცემთა შეტანის, წმენდისა და კომპიუტერული დამუშავებისათვის გამოყენებული უნდა იყოს სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის (SPSS). მონაცემთა დამუშავებისათვის გამოიყენება აღწერითი სტატისტიკა. გამოკვლევის შედეგების პოპულაციაზე განზოგადების მიზნით უნდა განხორციელდეს მონაცემების შეწონვა. **საგნობრივი შედეგი:** შემსრულებელი დასრულებული ფორმით ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს შეწონილი, რეპრეზენტატული მონაცემთა ბაზა (SPSS), რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება ანალიზისათვის მისი შემდგომი დამუშავებისა და კორექტირების გარეშე.			